ბორჯომის
მუნიციპალიტეტის მერია
BORJOMI MUNICIPALITY
CITY HALL
ტელ/TEL: (+995 367) 22 33 55 / 22 44 99

ბრძანება:**ბ16.16222582**
თარიღი:**15/09/2022**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების 4-ე დანართის 4-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.დამტკიცდეს:

ა) ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ)პროგრამული კოდების მიხედვით პროგრამების/ქვეპროგრამების/ ღონისძიებების განმახორციელებელი სამსახურები/ააიპ/ დანართი 2 -ის შესაბამისად.

2.დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ქალბატონ მაია პაიჭაძეს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებები მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის

ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

ოთარ არბოლიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი